პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2022 წლის —— აგვისტო ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N33-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე დურსუნ ჩერქეს–ზადეს მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დურსუნ ჩერქეს–ზადეს ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. №33-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N33-ში არსებულ საცხოვრებელ სახლზე დურსუნ ჩერქეს–ზადეს მემორიალური დაფის განთავსების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ტრავმატოლოგიაში, ცნობილი ქირურგი–ტრავმატოლოგ–ორთოპედი, რამდენიმე მიმართულებისა და მრავალი გამოგონების ავტორი, სპორტის ოსტატი დურსუნ ისმაილის ძე ჩერქეს–ზადე დაიბადა ქ. ბათუმში. სკოლის დამთავრების შემდეგ ყაზახეთის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლასთან პარალელურად სწავლობდა ფიზკულტურის ინსტიტუტში. სტუდენტობის წლებში იყო წყალბურთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი. მინიჭებული აქვს წყალბურთში ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ზერქეს–ზადემ პირველი საექიმო გამოცდილება მიიღო ქ. ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მუშაობდა მოსკოვის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში, სადაც დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ავტორია 240 სამეცნიერო ნაშრომის, 29 გამოგონებისა და 102 რაციონალური წინადადებისა. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით. მინიჭებული აქვს დამსახურებვული მოღვაწის და დამსახურებული რაციონალიზატორის წოდებები.

შვებულებას და თავისუფალ დროს ატარებდა მშობლიურ ქალაქში, რომლის დროსაც აკეთებდა რთულ ორთოპედიულ ოპერაციებს და უწევდა პაციენტებს უფასო კონსულტაციებს.

დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის მოსახლეობისათვის მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარებისა და ბათუმის ექიმთა დახელოვნების საქმეში.

გარდაიცვალა 2017 წლის 12 მარტს.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის ქ. N33–ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს დურსუნ ჩერქეს–ზადეს სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

თვითმმართველი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ა(ა)იპ აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე ლევან ცხოიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის სააგენტო

GEORGIA
ENTITY OF PUBLIC LAW
Agency For Cultural
Heritage Preservation
Of Ajara

MES 6 22 0000290745

21/03/2022

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის უფროსს
ბატონ რაულ ბოლქვაძეს

სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში თქვენს მიერ წარმოდგენილი №03-15220761 წერილობითი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმში, თავდადებულის ქუჩა №33-ში მდებარე შენობა-ნაგებობას მინიჭებული არ აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და მასზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი - ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ". შესაბამისად სააგენტო არ არის უფლებამოსილი ორგანო, დააფიქსიროს პოზიცია აღნიშნულ შენობაზე საინფორმაციო დაფის განთავსებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ახვლედიანი ზაურ

ა(ა)იპ აჭარის ექიმთა
გაერთიანებული საზოგადოება

AJARA DOCTORS' UNITED
COMMUNITY NLE

№01-021428

6 ივნისი 2021 წ.

ქ. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ სულიკო თებიძეს

ბატონო სულიკო!

ა(ა)იპ აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოება გაცნობებთ, რომ ბათუმში დაიბადა და გაიზარდა ცნობილი ქირურგი-ტრავმატოლოგ-ორთოპედი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ტრავმატოლოგიაში, რამდენიმე მიმართულებისა და მრავალი გამოგონების ავტორი, სპორტის ოსტატი დურსუნ ისმაილის ძე ჩერქეზ-ზადე.

ბათუმში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ყაზახეთის სამედიცინო ინსტიტუტში, პარალელურად სწავლობდა ფიზკულტურის ინსტიტუტში. სტუდენტობის პერიოდში იყო ყაზახეთის წყალბურთის ეროვნული ნაკრების კაპიტანი. მისი ხელმძღვანელობით ეს გუნდი ერთ-ერთი საუკეთესო იყო საბჭოთა კავშირში. ქვეყნის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა დურსუნს მიანიჭა წყალბურთში ყაზახეთის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება.

პირველი საექიმო ნათლობა დურსუნ ჩერქეზ-ზადემ მიიღო ქ. ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. ამის შემდეგ მთელი სიცოცხლე მუშაობდა მოსკოვის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, აქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, მოსკოვის რამდენიმე საავადმყოფოში მუშაობდა კლინიკური ბაზების ხელმძღვანელად. იგი ავტორია 240 სამეცნიერო ნაშრომის, 29 გამოგონებისა და 102 რაციონალური წინადადებისა, დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, მინიჭებული ჰქონდა რუსეთის ფედერაციის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის და დამსახურებული რაციონალიზატორის წოდებები.

მის: საქართველო, ბათუმი,
ლ.ასათიანის ქ. N16/ მ.აბაშიძის ქ. N46

ტელეფონი: +995 577 40 68 58
+995 593 57 33 57

Address: Georgia, Batumi,
L. Asatiani str. N16/ M. Abashidze str. N46

Email: aduc2014ge@gmail.com

პროფესორ დურსუნ ჩერქეზ-ზადე შვებულებას და თავისუფალ დროს ატარებდა მშობლიურ ბათუმში, აქაურ საავადმყოფოებში აკეთებდა რთულ ორთოპედიულ ოპერაციებს და პაციენტებს უწევდა უფასო კონსულტაციებს.

ღვაწლმოსილი მეცნიერი მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა 2017 წლის 12 მარტს. იგი დიდი პატივით დაკრძალეს მოსკოვის ტროეკუროვის სასაფლაოზე, მოსკოვის მერიის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე.

პროფესორ დურსუნ ჩერქეზ-ზადეს დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარის მოსახლეობისთვის მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარებისა და ბათუმის ექიმთა დახელოვნების საქმეში.

გთხოვთ, პროფესორ დურსუნ ჩერქეზ-ზადეს სახელის უკვდავყოფის მიზნით ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას მიაკუთვნოთ მისი სახელი და სახლს, სადაც ის ცხოვრობდა (დიმიტრი თავდადებულის № 33) გაუკეთდეს მემორიალური დაფა.

გთხოვთ განიხილოთ.

დანართი: 5 (ხუთი) გვერდზე

„აჭარის ექიმთა გაერთიანებული საზოგადოების" თავმჯდომარე,
პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
ქ. ბათუმისა და შუახევის რაიონის საპატიო მოქალაქე: აკაკი ბერიძე

ცნობილი ბათუმელი ექიმის,ორთოპედ-ტრავმატოლოგის,მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ბათუმის საპატიო მოქალაქის, ღირსების ორდენის კავალერის

დურსუნ ისმაილის – ძე ჩერქეს–ზადეს

შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

დურსუნ ისმაილის–ძე ჩერქეს–ზადე დაიბადა 1930 წლის 25 მაისს ქალაქ ბათუმში,ტრადიციულ, კავკასიურ მრავალშვილიან ოჯახში.საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს ქალაქ ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, მაგრამ 1951 წელს მისი ოჯახის შუა აზიაში გადასახლების გამო სწავლა გააგრძელა ყაზახეთის რესპუბლიკის სამედიცინო ინსტიტუტში,პარალელურად სწავლას აგრძელებდა ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში,რომელიც დაამთავრა შესაბამისად 1955–1956 წლებში. სტუდენტობის წლებში ის ხელმძღვანელობდა ყაზახეთის რესპუბლიკის წყალბურთის ნაკრებს,რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საუკეთესო ჩამონათვალში შედიოდა.

გადასახლების ურთულესი პერიოდის შემდეგ მთელი ოჯახი ბათუმში დაბრუნდა.პირველი ნაბიჯები ექიმი–ტრავმატოლოგის პროფესიაში დურსუნ ჩერქეს–ზადემ გადადგა ბათუმს რესპუბლიკურ საავადმყოფოში. მან უმოკლეს დროში მოიპოვა მაღალი ავტორიტეტი ავადმყოფებში,კოლეგებში და საზოგადოებაში.გამოირჩეოდა უბრალოებით,უღალატო მეგობრობით და სპეციალობაში უდიდესი პასუხისმგებლობით. რადგან მაშინ ტრავმატოლოგია არ იყო ცალკე დარგად გამოყოფილი სპეციალობა და ამ მეტად საჭირო სამედიცინო პროფილს კი დიდი ყურადღება სჭირდებოდა, ბატონი დურსუნი გაგზავნილი იქნა ქალაქ მოსკოვის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის

ცენტრალურ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში.მან მოკლე დროში დიდი ნდობა, ცოდნა და გამჭრიახობა გამოიჩინა და მას შესთავაზეს ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება.ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ ის დანიშნეს მოსკოვის მე-20 კლინიკური საავადმყოფოს ტრავმატოლოგიური განყოფილების გამგედ.აქედან იწყება მისი ნაყოფიერი,დაუღალავი შრომა,წინსვლა მეცნიერებაში,პრაქტიკულ-ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში. შემდგომ

დაიცვა სადოქტორო დისერტაცია (ხელმძღვანელი –პროფესორი ა.ვ.კაპლინი).დისერტაცია დაიცვა მეტად რთულ თემაზე-მენჯის ძვლების დაზიანებები,მთელი თავისი სირთულეებით. ამ პერიოდში მას უკვე აქვს მრავალი საინტერესო გამოგონება პრაქტიკულ ორთოპედია-ტრავმატოლოგიაში დანერგვით და გავრცელებით.წლების განმავლობაში იყო კლინიკური ბაზების–№15 და №33-ის ხელმძღვანელი.

დურსუნ ჩერქეს–ზადეს შემდგომ საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიოში ცნობილ კურგანის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან და მის ცნობილ ხელმძღვანელთან გ.ა.ილიზაროვთან თანამშრომლობამ. ამ თანამშრომლობის შედეგად დამყარდა გრძელვადიანი პროგრამ ექიმი – ტრავმატოლოგების გაცვლის საკითხში–სამეცნიერო პრაქტიკული საქმიანობის დახელოვნების მიზნით.ამ პერიოდში მის მიერ შექმნილი ძვლების საფიქრაციის აპარატის მკურნალობით სასწულები მოახდინა, ფაქტიურად მან ამ დარგში ეპოქა შექმნა.

მას ასევე აკავშირებდა მჭიდრო თანამშრომლობა ლიტვიის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კლევით ინსტიტუტთან (ხელმძღვანელი–პროფესორი ვ.კ.კალიმბერზი) და უკარაინის ,დონბასის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან.

ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ბატონი დურსუნ ჩერქეს–ზადე წლების განმავლობაში ასრულებდა ყაზახეთის რესპუბლიკის კურატორის მოვალეობას ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის საკითხებში.

ბატონი დურსუნ ჩერქეს–ზადეს ხელმძღვანელობით სამედიცინო კლინიკებში დაინერგა გარე ტრანსოსური ოსტეოსინთეზის ფართოდ

გამოყენება,რომელმაც მოსკოვის მთავარ სამმართველოს მისცა საფუძველი ,რომ № 15,54,71 –ე კლინიკების ბაზაზე შეექმნა მოსკოვის ტრანსოსური ოსტეოსინთეზის ცენტრი.

1999 წლიდან პროფესორი დურსუნ ჩერქეს–ზადე ხელმძღვანელობდა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრალური კვლევითი ინსტიტუტის მოზრდილთა ტრავმატოლოგიის პირველ განყოფილებას. ის არის 240–ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 8 მონოგრაფიის,რომელთა ზოგიერთი პუბლიკაცია წარმოდგენილია – pubmed-ის ავტორიტეტულ რესურსზე. 29 გამოგონებისათვის და 102 ნაციონალიზატორული წინადადებებისათვის მან მიიღო საავტორო სერთიფიკატები. მის მიერ შესრულებულ ერთერთ ნაკეთობას მიენიჭა ყოფილი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედალი და დიპლომი.

1981 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს,პროფესორს დურსუნ ჩერქეს-ზადეს მიენიჭა „დამსახურებული რეალიზატორისა“ და რუსეთის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ბრძანებით მას მიენიჭა ყაზახეთის დამსახურებული მწვრთვნელის საპატიო წოდება.

ბატონი დურსუნი არ იყო შეზღუდული პიროვნება და კარჩაკეტილი თავის სპეციალობაში. ის კარგად ერკვეოდა ხელოვნებაში და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში.ის ძალზედ იყო გატაცებული სპორტით,განსაკუთრებით წყალბურთით. ის გახლდათ ყაზახეთის რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი წყალბურთში.მინიჭებული აქვს სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ის დიდი ხნის განმავლობაში აჭარის რესპუბლიკის მოსახლეობას უსასყიდლოდ უწევდა ქირურგიულ-ოპერაციულ დახმარებებს.რეგიონის ისტორიაში პირველად მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა მენჯ–ბარძაყის სახსრის ენდოროტუზირების ოპერაცია ხანდაზმულ პაციენტზე. ის იზიდავდა დამწყებ ახალგაზრდა ექიმებს აჭარიდან კვალიფიკაციის ასამაღლებლად.არ შეიძლება არ აღინიშნოს ცნობილი ბათუმელი ექიმების;ავთანდილ დიასამიძის,რეზო მსახურაძის,ლევან

თენეიშვილის, გია ვაჩეიშვილის დიდი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია,რომელშიც დიდია ბატონ დურსუნ ჩერქეს–ზადეს წვლილი.არაერთმა ბათუმელმა მიიღო მისგან ყურადღება და მხარდაჭერა. ის ეხმარებოდა მათ ყოველმხრივ,ძალიან ბევრ ავადმყოფს ღებულობდა აჭარიდან და ძალას და ენერგია არ იშურებდა მათ დასახმარებლად .

ის აქტიურად თანამშრომლობდა აჭარის სამედიცინო სფეროსთან.მას არ გაუწყვეტია კავშირი ბათუმთან, ბათუმის ტრავმატოლოგიის სამსახურთან,თავის მშობლებთან, დებთან, მეგობრებთან.ის ყოველ შვებულებას ბათუმში ატარებდა.

საქართველოსათვის ურთულეს 90–იან წლებში ბატონ დურსუნ ჩერქეს–ზადეს მიერ საკუთარი ხარჯებით ბათუმში ჩამოტანილი იქნა დიდი რაოდენობით უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანი დეფიციტური ტრავმატოლოგიურ–ორთოპედიული ხელსაწყო აპარატურა,რომელიც გადაეცა ბათუმის №1საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებას,რომელსაც წარმატებით იყენებდნენ წლეების განმავლობაში. ასეთი ქველმოქმედება ჩვენი ქალაქისათვის მან არაერთხელ გაიღო.ის მშობლიურ ქალაქში ყოველწლიურად ჩამოდიოდა და ბათუმის №1 სავადმყოფოში ,სადაც ერთადერთი ტრავმატოლოგიური განყოფილება იყო აკეთებდა ურთულეს საჩვენებელ ოპერაციებს, კოლეგებისათვის საჩუქრად ჩამოჰქონდა ახალი სამედიცინო ლიტერატურა და თავისი ახალი მონოგრაფიები.

ბატონი დურსუნისადმი სიყვარული და პატივისცემა ყოველთვის იყო მისი მშობლიური ქალაქის,ბათუმის მოსახლეობაში.მისი უბრალოება და კომუნიკაბელურობა განსაკუთრებით რიგითი ადამიანებისათვის ყველასათვის ცნობილი იყო.მისი საიუბილეო 60 და 70 წლისთავი დიდი ზეიმით იქნა აღნიშნული, რომელსაც მისი ბათუმელი კოლეგები–ექიმთა დიდი შემადგენლობა ესწრებოდა. ბათუმელებმა ცნობილ დასტაქარს ოქროს სკალპელი მიართვეს:"ოქროს ხელებს ,ოქროს სკალპელი დაამშვენებსო"... მას ყოველთვის თან ახლდა უსაყვარლესი ქალაქის, ბათუმის სიყვარული. ამიტომაც იყო, რომ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილებით 2013 წელს მას

საპატიო ბათუმელის წოდება მიენიჭა, ის დაჯილდოებული გახლდათ ღირსების ორდენით.

დამსახურებულ პენსიაზე მყოფი კვლავ ძველებურად და შემართებით აგრძელებდა მუშაობას ოლიმპიურ სპორტულ ცენტრში – მეცნიერ–კონსულტანტად.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი და საზოგადო მოღვაწე დურსუნ ჩერქეზადე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მოსკოვში 2017 წელს. ის დიდი პატივით დაკრძალეს ტროეკუროვის სასაფლაოზე.მისი სურვილი დაკრძალულიყო მშობლიურ ქალაქში,გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

მისი ოჯახური მდგომარეობა:

ჰყავს მეუღლე ნადეჟდა ბრიანცევა–ჩერქეს–ზადე –პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი და ორი ვაჟი;ტარიელი და დიმიტრი,რომლებიც მამის კვალს გაჰყვნენ და დღეს მიწვევით სამედიცინო საქმიანობას ეწევიან იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.ჰყავთ ოთხი შვილიშვილი.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი დურსუნ ჩერქეს–ზადე ჩვენი ქალაქის ისტორიაში დარჩება,როგორ ბრწყინვალე დასტაქარი და თავის ქალაქზე ,საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ბათუმელი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა მისი ღირსებისათვის,მისი მომავლისათვის.

ბათუმი

2021 წლის 6 ივლისი

ბინის მისამართი,დიმიტრი თავდადებულის ქუჩა№33

საკონტაქტო ტელეფონი:595–20–81–77